ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2016 წლის 2 მარტის
ბრძანება №30/01-01

დანართი

2016-2017 სასწავლო წლისათვის ლაიდენის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად, შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თსუ-სა და ლაიდენის უნივერსიტეტის შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ლაიდენის უნივერსიტეტის მიერ 2016-2017 სასწავლო წლისათვის გამოყოფილი სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის მაგისტრატურის პირველი კურსის კანდიდატთა შორის სტიპენდიატის შერჩევა.

2. კანდიდატი
კონკურსზე დაიშვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ევროპული კვლევების ინსტიტუტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები რომელთა GPA არის 3.2–4.0.

3. სტიპენდიატის შერჩევა
სტიპენდიატის შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA).

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

სტიპენდიატის გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.